სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 10

2019 წ. "28" 03

ქ.თბილისი

შპს უმაღლესი სასწავლებელ ჯორჯიას სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2019 წლის 27 მარტს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №355334) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 22 ნოემბრის №158 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 28^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას 2019 წლის 26 მარტის №355334 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თავმჯდომარე
ნოდარ პაპუკაშვილი